

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით პერსონალურ მონაცემთა  
დამუშავების სამართლებრივი ასპექტები

ნინო ყველაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ გოშაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ყველაიძე

თარიღი: 02.07.2022

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიების თავისებურებები და შესაძლო პრობლემები, რომლებსაც ისინი წარმოშობენ სამართლებრივი კუთხით. კერძოდ, განხილულია ინდივიდების პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. მიმოხილულია მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია და მისი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ხელოვნური ინტელექტის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას. აგრეთვე, განხილულია საქართველოში არსებული მდგომარეობა და სამართლებრივი ასპექტები, რომლითაც რეგულირდება ხელოვნური ინტელექტის მიერ მონაცემთა დამუშავება. ჩანს, რომ ეროვნულ დონეზე ხელოვნური ინტელექტის მარგულირებელი კანონმდებლობა ჯერ კიდევ დასახვეწია, ხოლო საერთაშორისო დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია მორგებულია თანამედროვე გამოწვევებს, იკვეთება, მეტად სპეციფიკური რეგულაციის საჭიროება. ნაშრომში გამოყენებულია: კვლევები, საკანონმდებლო აქტები, და სტატიები, რომლებიც სიღრმისეულად განიხილავენ ხელოვნური ინტელექტის ბუნებას და მის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას წარმოქმნილ რისკებს.

ნაშრომის მიზანია ხელოვნური ინტელექტის რეგულირების პრობლემური მხარის წარმოჩენა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალთან კავშირში. ნაშრომი ამავდროულად ორიენტირებულია წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტის გზებისა და შესაძლო რეგულაციის განხილვაზე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, მონაცემთა ავტომატური დამუშავება, პროფილირება.

## Abstract

The paper discusses the peculiarities of technologies based on artificial intelligence and the possible problems that emerge from a legal point of view, in particular the issue of protection of personal data of individuals. This paper reviews the General Data Protection Regulation and its norms, which regulate the processing of personal data by artificial intelligence. Moreover, the current situation in Georgia and the legal aspects that regulate the processing of data by artificial intelligence is discussed. Allegedly, the legislation governing artificial intelligence at the national level is still being refined, while at the international level, although the General Data Protection Regulation is adapted to modern challenges, there is a need for more specific regulation. The paper uses researches, legislation, and articles that provide an in-depth discussion of the nature of artificial intelligence and the risks it poses to the processing of personal data.

The aim of the paper is to present the problematic side of artificial intelligence regulation in relation to personal data protection law. The paper also focuses on discussing ways to solve the raised problems and reviews possible regulation.

**Keywords:** Artificial Intelligence, Personal Data Protection Law, General Data Protection Regulation, Georgian Personal Data Protection Law, Automatic Data Processing, Profiling.